სულხან-საბა ორბელიანის
უნივერსიტეტი

დამტკიცებულია:
რექტორის #99-17 ბრძანებით; 26.10.2017
განახლებული რედაქციით დამტკიცებულია:
რექტორის #45-19 ბრძანებით; 13.03.2019
რექტორის #81-19 ბრძანებით; 02.07.2019
რექტორის #51-20 ბრძანებით; 10.04.2020
რექტორის #55-21 ბრძანებით; 06.04.2021
რექტორის #107-21 ბრძანებით; 10.06.2021
რექტორის #146-22 ბრძანებით; 30.08.2022
რექტორის #189-23 ბრძანებით; 31.10.2023
რექტორის #149-25 ბრძანებით; 24.11.2025

აფილირების წესი

თბილისი

2025

1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, წინამდებარე წესი განსაზღვრავს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტში (შემდეგში - „უნივერსიტეტი“) აკადემიური პერსონალის აფილირების წესს და პირობებს.
2. აფილირება გულისხმობს უნივერსიტეტსა და აკადემიური თანამდებობის მქონე პირს შორის წერილობით შეთანხმებას, რომლითაც უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის პირი განსაზღვრავს თავის აფილირებას მხოლოდ უნივერსიტეტთან, მისი სახელით მონაწილეობს საზოგადოების განვითარებისა და ცოდნის გაზიარების პროცესებში და უნივერსიტეტში:
2.1. ახორციელებს ძირითად საგანმანათლებლო, კვლევით/სამეცნიერო საქმიანობას, ხოლო მისი კვლევის შედეგები ეთვლება უნივერსიტეტს. ამ მიზნით, დასაქმებული ვალდებულია მიუთითოს უნივერსიტეტში დაკავებული აკადემიური თანამდებობა ნებისმიერ სასწავლო/სამეცნიერო ხასიათის პუბლიკაციაზე, საჯარო გამოსვლისას, კონფერენციაში მონაწილეობისას და ა.შ;
2.2. აქტიურად არის ჩართული უნივერსიტეტში საგანმანათლებლო, კვლევით და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესებში;
2.3. აქტიურად არის ჩართული სტუდენტებისათვის კონსულტაციების გაწევის, აკადემიური/სამეცნიერო ხელმძღვანელობის პროცესებში;
3. აფილირებული პერსონალი ვალდებულია:
3.1. სრულად და ჯეროვნად შეასრულოს მისი სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვის კომპონენტები.
3.2. მუდმივად ზრუნავდეს საკუთარი კვალიფიკაციის ამაღლებაზე;
3.3. საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობა მიიღოს ფაკულტეტის სხდომებში, ავტორიზაციის/აკრედიტაციის პროცესში, თვითშეფასების კითხვარის შევსებაში, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დახვეწასა და სრულყოფაში, პერიოდულ გამოკითხვებში და ა.შ.;
3.4. უნივერსიტეტში მოქმედი ხარისხის შეფასების მეთოდებითა და კრიტერიუმებით განსაზღვრულ ნიშნულებთან შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში, ვალდებულია შესაბამისობაში მოიყვანოს საკუთარი სასწავლო საქმიანობა;
3.5 უნივერსიტეტში მოქმედი „სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის დაგეგმვის, შეფასებისა და ხელშეწყობის წესის“ მიხედვით განსაზღვრული მინიმალური და ჯამური სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვის არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში ვალდებულია შესაბამისობაში მოიყვანოს თავისი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა.
4. აფილირების შეთანხმება შეიძლება დაიდოს შემდეგ პირებთან:
4.1. პროფესორი;
4.2. ასოცირებული პროფესორი;
4.3. ასისტენტ-პროფესორი;
4.4. ასისტენტი.

4.5. სამეცნიერო პერსონალი

5. აფილირების შესახებ პერსონალსა და უნივერსიტეტს შორის შეთანხმება წერილობითია. შეთანხმება გარკვევით უნდა ასახავდეს აფილირების არსს, პერსონალის ვალდებულებას და შეთანხმების მოქმედების ვადას. შეთანხმების პირობების შეცვლა დასაშვებია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით, რომელიც ერთვის ძირითად შეთანხმებას და მისი განუყოფელი ნაწილია.

6. უნივერსიტეტში აფილირებული პერსონალი იყოფა 2 (ორ - A და B) კატეგორიად:

A კატეგორია გულისხმობს აფილირებულ პერსონალს რომლის აკადემიური საქმიანობის უმეტეს წილს შეადგენს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა.

B კატეგორია გულისხმობს აფილირებულ პერსონალს, რომლის აკადემიური საქმიანობის უმეტეს წილს შეადგენს სასწავლო საქმიანობა, მინიმალური სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვით (A კატეგორიის პერსონალისთვის დადგენილი სამეცნიერო დატვირთვის 50%-ის ოდენობით).

7. უნივერსიტეტში ფაკულტეტის დეკანად/სადოქტორო სკოლის ხელმძღვანელად მიმართულების, კვლევითი ერთეულის ან/და პროგრამის ხელმძღვანელად, შეიძლება დაინიშნოს/აირჩეს მხოლოდ უნივერსიტეტთან აფილირებული აკადემიური პერსონალი. პროგრამის ხელმძღვანელთან მიმართებით შესაძლებელია დაიშვას გამონაკლისი ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით, რექტორთან შეთანხმებით.

8. იმ შემთხვევაში თუ პროგრამის ხელმძღვანელად დანიშნულია/არჩეულია რამდენიმე პირი (პროგრამის კოლეგიური მართვა), მათგან, როგორც წესი, ერთი მაინც უნდა იყოს უნივერსიტეტთან აფილირებული.

9. პერსონალის აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის პირობად აფილირების დადგენის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს რექტორი დამოუკიდებლად ან/და დეკანის შუამდგომლობის საფუძველზე;

10. აფილირების პირობის გარეშე აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის შემთხვევაში, მხარეები (უნივერსიტეტი და აკადემიური პერსონალი) უფლებამოსილი არიან ნებისმიერ დროს დადონ აფილირების შეთანხმება;

11. აფილირების ვადა როგორც წესი განისაზღვრება აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის ვადით თუ აფილირების შეთანხმებით სხვა (ნაკლები) ვადა არ არის განსაზღვრული;

12. აკადემიურ თანამდებობაზე, აფილირების პირობით არჩეული პირის უარი აფილირების შეთანხმების ხელმოწერაზე ან/და მის მიერ ვადამდელი ცალმხრივად შეწყვეტა აკადემიური თანამდებობიდან გათავისუფლებისა და შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველია, თუკი ფაკულტეტის დეკანის შუამდგომლობით, პირისა და დაწესებულების შეთანხმებით სხვა რამ არ იქნება გათვალისწინებული.

13. აფილირებული აკადემიური პერსონალის მიერ აფილირების შეთანხმებით განსაზღვრული მოთხოვნების დარღვევა შეიძლება გახდეს პერსონალის აკადემიური თანამდებობიდან გათავისუფლების და შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი;

14. აფილირებული პირი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს აფილირების

შეთანხმება უნივერსიტეტის სულ მცირე 1 თვით ადრე გაფრთხილებით;
15. უნივერსიტეტი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს აფილირების შეთანხმება აფილირებული პირის სულ მცირე 1 თვით ადრე გაფრთხილებით.
16. უნივერსიტეტში, აკადემიური დატვირთვა ნაწილდება რიგითობის პრინციპით, უპირველეს ყოვლისა, იტვირთება აფილირებული აკადემიური პერსონალი, შემდეგ არააფილირებული აკადემიური პერსონალი და დარჩენილი სალექციო საათები გადანაწილდება მოწვეულ პერსონალზე.
17. უნივერსიტეტის აფილირებული აკადემიური პერსონალი, რომელსაც უკავია ფაკულტეტის დეკანის თანამდებობა, უნივერსიტეტის რექტორის წინასწარი წერილობითი თანხმობით, უფლებამოსილია მიიღოს მონაწილეობა სხვა საგანმანათლებლო დაწესებულების სამეცნიერო- საგანმანათლებლო პროცესში არაუმეტეს კვირაში 6 საათისა ამ წესით დადგენილი მოთხოვნის დაცვით;
18. უნივერსიტეტის აფილირებული აკადემიური პერსონალი, რომელსაც უკავია დეპარტამენტის უფროსის/პროგრამის ხელმძღვანელის თანამდებობა, უნივერსიტეტის რექტორის წინასწარი წერილობითი თანხმობით, უფლებამოსილია მიიღოს მონაწილეობა სხვა საგანმანათლებლო დაწესებულების სასწავლო-სამეცნიერო პროცესში არაუმეტეს კვირაში 8 საათისა ამ წესით დადგენილი მოთხოვნის დაცვით;
19. აფილირებული პერსონალის სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში სამეცნიერო-საგანმანათლებლო საქმიანობის ზღვრული ოდენობის შესახებ გადაწყვეტილებას, ყოველსემესტრულად იღებს რექტორი ფაკულტეტის დეკანის შუამდგომლობის საფუძველზე მაგრამ კვირაში არაუმეტეს:
19.1. პროფესორი - 8 საათი;
19.2. ასოცირებული პროფესორი - 15 საათი;
19.3. ასისტენტ-პროფესორი - 15 საათი;
19.4. ასისტენტი - 18 საათი.
20. აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი უნივერსიტეტთან აფილირებული პირის შრომითი პირობები და დატვირთვა განისაზღვრება მასთან დადებული შრომითი ხელშეკრულებით და აკადემიური პერსონალის სემესტრული დატვირთვით. აფილირებული აკადემიური პერსონალის დატვირთვა მოიცავს სამეცნიერო-კვლევით და სასწავლო საქმიანობას.
21. სასწავლო საქმიანობა იგეგმება აფილირების წესის შესაბამისად და აისახება რექტორის ბრძანებით დამტკიცებულ, აკადემიური და მოწვეული პერსონალის სემესტრული დატვირთვის ჯამურ ფორმაში.
22. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაგეგმვა და შეფასება გაწერილია „სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაგეგმვის, შეფასებისა და ხელშეწყობის წესში“, რომლის მიხედვითაც ფასდება აფილირებული პერსონალის მიერ მინიმალური და ჯამური სამეცნიერო დატვირთვის შესრულება.
23. ფაკულტეტზე აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა არააფილირებულ პერსონალის რაოდენობასთან სასურველია შეადგენდეს 1/5 (1 აფილირებული, 5 არააფილირებული). პერსონალის განსხვავებული თანაფარდობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს რექტორი დეკანის

დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე.
24. დეკანის დასაბუთება შეიძლება შეიცავდეს მითითებას მიმდინარე და დაგეგმილ კვლევებზე, სამეცნიერო პროექტებზე, სტუდენტების ინტერესებზე, საგანმანათლებლო პროგრამების დონეზე (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) და სხვა მნიშვნელოვან გარემოებებზე, რომლებიც ასაბუთებენ შუამდგომლობაში მითითებულ მიდგომას;
25. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ვალდებულია აკადემიურ პერსონალს მისცეს წინამდებარე წესისა და მასში განხორციელებული ცვლილებების გაცნობის შესაძლებლობა აფილირების შეთანხმების დადებისას, ან მის შემდგომ.
26. „სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის დაგეგმვის, შეფასებისა და ხელშეწყობის წესის“ მიხედვით განსაზღვრული მინიმალური წლიური და ჯამური სამეცნიერო - კვლევითი დატვირთვის არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, აფილირებულ პერსონალს შეიძლება შეუწყდეს უნივერსიტეტთან აფილირების შეთანხმება, აკადემიური თანამდებობის შენარჩუნებით. ამ დებულებისგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება შეუძლია უნივერსიტეტის რექტორს, ფაკულტეტის დეკანისა და აკადემიური კვლევისა და განვითარების მენეჯერის დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე.